

თამარ გოგოლაძე /გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი/  
 მარიამ კობერიძე /გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი/

### **ქართულის, როგორც არამშობლიური ენის სამეტყველო ფუნქციების (მოსმენა, ლაპარაკი) სწავლების პრობლემები**

ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის დაუფლება უაღრესად საჭირო და აუცილებელია საქართველოში მცხოვრებ უმცირესობათა პირადი კარიერის განვითარებისა და ქვეყნის ცხოვრებაში ჩართულობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

ეთნიკურ უმცირესობებით დასახლებულ რაიონებში, სადაც სახელმწიფო ენა არ გამოიყენება ყოველდღიურობაში, საკომუნიკაციო ენა რუსულია, სომხური კი — მშობლიური, მოსწავლეები სკოლას ვერ ამთავრებენ ქართული ენის ცოდნით აღჭურვილები. ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების ტესტების შედეგების საფუძველზე უმაღლეს სასწავლებელში ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე ჩარიცხული სომხურენოვანი სტუდენტი ხშირ შემთხვევაში საერთოდ არ ფლობს არც ერთ ენას, გარდა მშობლიურისა.

ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე გორის უნივერსიტეტში 2010-2011 სასწავლო წელს ჩაირიცხა ერთი სომხურენოვანი სტუდენტი. წინამდებარე სტატიაში წარმოვადგენთ იმ პრობლემებსა და სიძნელეებს, რომელიც შეგვხვდა ქართული ენის, როგორც არამშობლიური ენის სამეტყველო ფუნქციების (მოსმენა-ლაპარაკის) სწავლებისას. სტუდენტი საერთოდ არ ფლობდა არც ერთ ენას, გარდა მშობლიურისა (რუსულ ენაში ფლობდა მცირე ლექსიკურ მარაგს). ეს პრობლემა ერთი შეხედვით თითქოს ინდივიდუალურია, მაგრამ ზოგადად დამახასიათებელია ეთნიკურ უმცირესობათა სკოლების მოსწავლეებისათვის. აქ თავის როლს თამაშობს ქართული ენობრივი გარემოს არ არსებობა და ყოფით სიტუაციებში ენის გავრცელების სიმწირე.

ენის შესწავლა მეტად ხანგრძლივი პროცესია და დიდ დროს მოითხოვს. არამშობლიური ენის შესწავლისას ყურადღება უნდა მივაქციოთ საბაზო და აკადემიური ენობრივი უნარების განვითარებას. საბაზო ენობრივი კომპეტენციები ყალიბდება ქართულად მეტყველების პრაქტიკით. ეს არის უნარები, რომელსაც ვიყენებთ ყოფით სიტუაციებსა და ყოველდღიურ ურთიერთობაში. ამას ითვისებენ ბავშვები ეზოში თამაშისას, ტრანსპორტით მგზავრობისას, სკოლაში მოსწავლეებთან ურთიერთობით. ეს არის

სოციალური ურთიერთობის კონტექსტში ჩასმული უნარები, ამას ემატება ჟესტი, მიმიკა.

აკადემიური ენობრივი კომპეტენციები გულისხმობს მოსმენას, ლაპარაკს, კითხვასა და წერას. ეს არის ის უნარები, რომელიც სტუდენტს დაენმარება ამ ენაზე აზროვნებაში, ბაკალავრიატში სხვადასხვა სასწავლო კურსების ათვისებაში. აკადემიური ენობრივი უნარების განვითარება საბაზო ენობრივი კომპეტენციების გარეშე ვერ განვითარდება. ამ პრობლემის მოსაგვარებლად ჩვენ მოგვიხდა მუშაობის დაწყება მარტივი ლექსიკის შესწავლით, მარტივი წინადადებების შედგენით, კომუნიკაციისათვის აუცილებელი სასაუბროების გამოყენებით. აქ ერთ პრობლემასაც წავაწყდით: ერთ სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა დიალოგების, ჯგუფური მუშაობის საშუალებას არ გვაძლევდა. ასეთ შემთხვევაში აუდიტორიის გარეთ საუნივერსიტეტო ღონისძიებებში მონაწილეობამ, ქართულენოვან სტუდენტებთან ურთიერთობამ, უნივერსიტეტში შექმნილმა გარემომ და შესაბამისმა პირობებმა ხელი შეუწყო სტუდენტის სოციალურ ადაპტაციას და ქართულად მეტყველების პრაქტიკას.

ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებთან, რომლებმაც არ იციან საერთოდ ქართული ენა და არ გააჩნიათ ასევე მარტივი კომუნიკაციისათვის აუცილებელი ლექსიკური მარაგი, ურთიერთობისათვის, სასურველია, თვითონ მასწავლებელს ჰქონდეს მინიმალური ცოდნა მაინც ამა თუ იმ ენაში.

კულტურა მოქალაქეთა მთლიანობის უმთავრესი ნიშანი და ერთობის საფუძველია. გაუცხოების დასაძლევად მნიშვნელოვანია ქართული კულტურული ღირებულებების გაცნობა და დაფასება. ვფიქრობთ, სასაუბრო ქართულის სწავლებასთან ერთად სალიტერატურო ენის ცოდნის გაღრმავებასაც უნდა მიექცეს ყურადღება, რათა სტუდენტებმა მომავალში შეძლონ ორიგინალური ლიტერატურის წაკითხვა. ამ შედეგის მისაღწევად კარგი საშუალებაა ლიტერატურის მიწოდება. მხატვრული ლიტერატურა ენის დაუფლების აუცილებელ პირობასა და საშუალებას წარმოადგენს. ასეთი ტექსტები აფართოებს სტუდენტის მსოფლმხედველობას, აწვდის მასალას დამოუკიდებელი დასკვნებისა და კერძო შემთხვევათა განზოგადებისათვის, რაც უქმნის საფუძველს ქართულად აზროვნებას. მხატვრული ლიტერატურის გააზრებული წაკითხვა, ტექსტის შინაარსის სწორი გაგება, მისი ენობრივი, ესთეტიკური და ემოციური სიმდიდრის აღქმა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სტუდენტის აზროვნებისა და ლიტერატურული გემოვნების დახვეწაზე. წაკითხული ტექსტის ანალიზისას ზეპირი გამოკითხვა და კითხვების დასმა ხელს შეუწყობს სტუდენტის მიერ ენის შესწავლის პროცესში ლექსიკური მარაგის გამდიდრებასა და ქართულისათვის დამახასიათებელ ენობრივ-სტილურ ნორმებში

გარკვევას. ადაპტირებულ ტექსტზე მუშაობამ უნდა განაპირობოს გრამატიკული, ლექსიკური, სტილისტიკური კატეგორიების შესწავლა და წაკითხულ მასალასთან დაკავშირებული არაერთი სამეტყველო და წერიტი უნარ-ჩვევის განვითარება. ლექტორმა შეიძლება ყურადღება გაამახვილოს ტექსტის ავტორზე, ნაწარმოების სათაურზე, ან ნაწარმოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან თემაზე, რაც ნამდვილად გაზრდის სტუდენტთა ინტერესს წასაკითხი მასალისადმი. მათში გადმოცემული თემატიკა კარგი საშუალებაა ენის შემსწავლელთან დისკუსიაში შესასვლელად. მხატვრული ლიტერატურა საშუალებას აძლევს სტუდენტს გაიგოს არამართო მისი შინაარსი, არამედ გააცნობიეროს კიდევ კონკრეტული ტექსტის კულტურულ-ლიტერატურული მნიშვნელობა. ქართული ენობრივ-კულტურული ღირებულებების გაცნობა, დაფასება და პატივისცემა ქართული ენის შესწავლის მოტივაციას აძლიერებს სტუდენტებში.

ზეპირმეტყველებაში დაშვებული შეცდომების ანალიზი ენობრივი პრობლემებისა და სიძნელების გამოვლენას უწყობს ხელს. ენის შესწავლის პროცესში შეცდომები გარდაუვალია. იგი ენის ათვისების თანამდევი მოვლენაა. შესასწავლ ენაზე მეტყველების უნარის განვითარება აუცილებლად იწვევს შეცდო-მებს, რომლებიც სხვადასხვა ფაქტორებითაა განპი-რობებული. აქ რამდენიმე პრობლემასთან გვაქვს საქმე. რთულია შესასწავლი ენის ფონემატური სტრუქტურის სრულად ათვისება და მისი რეალიზება, საწარმოთქმო აპარატის მორგება ახალი ენის მონაცემებთან. საწარმოთქმო პრობლემების მოგვარება ადვილი არ არის. მისი გამოსწორება მცირე დროში არ ხერხდება. ზოგიერთი ინდივიდი ბუნებრივი სმენისა და სხვა უნარ-ჩვევების შედეგად ენის ათვისების პარალელურად ახერხებს საწარმოთქმო აპარატის სრულყოფას და უაქცენტო მეტყველებას. ვფიქრობთ, საჭიროა, სპეციალურად დამუშავდეს შესასწავლი ენის ფონემატური სტრუქტურა ენის შემსწავლელის მშობლიურ ენასთან შეპი-რისპირებით. გამოიყოს განსხვავებული ბგერები. სასურველია, ამ ბგერათა გამოყენებით შეიქმნას წინადადებები და მცირე ზომის მარტივი ტექსტები.

ბგერის უმთავრესი მახასიათებელი მისი სიტყვათგანმას-ხვავებელი ფუნქციაა. ბგერის ჩანაცვლებით შეიძლება მივიღოთ სრულიად განსხვავებული მნიშვნელობის სიტყვა. სწავლებისას განსაკუთრებულ სიძნელეს წარმოადგენს ყრუ მკვეთრი (პ, ტ, წ, ჭ, კ, ყ) და ყრუ ფშვინვიერი (ფ, თ, ს; ქ, შ, ც, ჩ, ხ, ჰ) თანხმოვნების წარმოთქმა და მათი არასწორი გამოყენების შემთხვევაში სიტყვის მნიშვნელობის ცვლა. ყურადღება უნდა მიექცეს ამგვარ პრობლემებს ენაში, გამოიყოს ისეთი ბგერები, რომელთა არასწორი გამოყენება გამოიწვევს სიტყვის მნიშვნელობის ცვლას და მასზე სპეციალურად შეიქმნას სავარჯიშოები. მაგ.: პ-ფ: პაპა-ფაფა, პური-ფური; თ-ტ: თარი-ტარი, თარო-ტარო; ქ-კ: ქუდი-კუდი, ქარ-კარი; ც-წ:

ცურავს-წურავს; **ჩ-ჭ**: ჩირი-ჭირი, ჩალა-ჭალა; **გ-ღ**: გვარი-ღვარი, გომი-ღომი, გონიერი-ღონიერი.

ქართულისათვის სპეციფიკურია ენაძირისმიერი ყ თანხმოვანი და მისი სწორად წარმოთქმა ხანგრძლივ, შესაძლო დაუძლეველ პრობლემადაც კი დარჩეს ქართული ენის შემსწავლელისათვის. ამდენად ამ პრობლემაზე აუცილებლად უნდა გამახვილდეს ყურადღება. მეტყველებაში შეინიშნება **ღ** და **ხ** ბგერების არასწორი გამოყენებაყ-ს ნაცვლად. მაგ.: ღრუ-ყრუ, ღია-ყია, ღრმა-ყმა, ყელი-ხელი.

სიძნელეს წარმოადგენს **ვ** ბგერის წარმოთქმა **უ, ო** ბგერების წინ. მაგ.: ვამბობ-ამბობ, ვუთხარი-უთხარი...

მოსმენა-ლაპარაკის სწავლებისას პრობლემას წარმოადგენს **ლ** ბგერის სწორად წარმოთქმა. **ლ** ბგერა შერეული რავგარობის თანხმოვანია. მის წარმოებაში ხდება ხშვაც (წინაენისა ზედა კბილებთან) და ადგილი აქვს ნაპრალსაც (ენის გვერდებსა და ლოყებს შუა) (გ. ახვლედიანი, 1999: 44). ენის შემსწავლელის მიერ **ლ-ს** დარბილებული წარმოთქმით საგრძნობი ხდება, ქართული ენის ფონოლოგიური მოდელის დარღვევა (ქ. ლომთათიძე, 1993: 31), მეტყველება იღებს არასალიტერატურო, კუთხურ იერს და მისი გამოსწორება აუცილებელია. როგორ ავიცილოთ **ლ-ს** არასწორი არტიკულაცია თავიდან? ამისათვის აუცილებელია ენის წვერის ფიქსირება ზედა კბილებთან. ამ მიზნით შემდეგ სავარჯიშოს მივმართავთ: ენის წვერს ვაქცევთ კბილებს შორის და ისე წარმოვთქვამთ **ლ** ბგერას. მთავარია ჩვენს წარმოთქმაში მაგარი და რბილი **ლ-ს** განსხვავება “დავიჭიროთ” და შევძლოთ ენის შესაბამისი გადაწვევის მართვა. შესაძლებელია სპეციალური ენის გასატეხი სავარჯიშოების გამოყენებაც.

როგორც ცნობილია, ქართული მეტყველებისათვის ხმოვანთა თავმოყრა მაინცდამაინც არ არის დამახასიათებელი და ბუნებრივი. ამიტომაც არის, რომ ის, რაც სალიტერატურო მეტყველებაში ისტორიული ტრადიციითა თუ გრამატიკული ნორმებით არის შენარჩუნებული, სხვადასხვა კუთხურ მეტყველებაში ისეთ ცვლილებებს განიცდის, რაც საბოლოოდ რამდენიმე ხმოვნის ერთ ხმოვანზე დაყვანას იწვევს. ცოცხალი მეტყველების ეს ტენდენცია ქართული ენის, როგორც არამშობლიური ენის შესწავლისასაც იჩენს თავს. ამიტომაც არის სომხურენოვანისათვის მუდმივი პრობლემა იმგვარი ფორმების მართლწერა და მართლწარმოთქმა, როგორცაა - გაახალგაზრდავა, გააერთიანა, გაახლებს, გაახვევს, გაადვილებს, გააიაფებს, დაუახლოვებს, გაუფართოვებს, დააიარავებს, გაენაღიზებინა, გაედვილებინა, გაეუმჯობესებინა, გაუუკეთესებია...

ქართული წარმოთქმა თანხმოვანთა კომპლექსებს საკმაოდ კარგად იტანს, მაგრამ ეს პრობლემაა ქართული ენის შემსწავლელისათვის. ცალკეულ თანხმოვანთა თავმოყრისას მათ მეტყველებაში შეინიშნება გარკვეული ფონეტიკური პროცესები - დაყრუება, შერწყმა... მაგ.: დამახასიათებელი ცვლილებებია: გტკივა-კტკივა, გპარავს-კპარავს, სჯერა-ზჯერა, გვერდზე-გვერძე, ბურთს-ბურც, სპორტსმენი-სპორტცმენი. ამგვარმა საწარმოთქმო ცვლილებები ხშირად წერით მეტყველებაშიც იჩინს ხოლმე თავს, ამიტომაც მათზე ყურადღების გამახვილება საწარმოთქმო პრობლემებზე საუბრის დროსვე არის მიზანშეწონილი. თანხმოვანთა კომპლექსების წარმოთქმაში გასაწაფავად შეიძლება განსაკუთრებულად რთულ ბგერათ ჯგუფებზე ვარჯიში და ტრადიციული ენის გასატენის გამოყენება: ბღვა, ბღვე, პტკა, პტკე, ფთქა, ფთქე, ბძვა, ბძვე, ფცქა, ფცქე, პწკა, პწკე... შემდეგ შევებრუნეთ ვარიანტები: გღვა, ბღვა, კტპა...

გრამატიკული შეცდომების გამოსწორება მეტად ხანგრძლივი პროცესია და იგი განსაკუთრებულ მუშაობას მოითხოვს როგორც მასწავლებლის, ისე ენის შემსწავლელის მხრიდან. ლექტორმა უნდა ჩაინიშნოს ყველა ის შეცდომა, რომლებსაც სტუდენტები უშვებენ. ზეპირი და წერითი მეტყველების შეცდომების ანალიზისას მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რა იწვევს ამ ტიპის შეცდომას. შეცდომები შეინიშნება ზმნის პირის ფორმათა გამოყენებისას, დროის წარმოებაში, რთული წინადადების კონსტრუქციების შედგენაში... სინტაქსური პრობლემატიკა (წევრთა ურთიერთმიმართება და თანამიმდევრობა წინადადებაში, მარტივ და რთულ წინადადებათა მონაცვლეობა, ქვემდებარე-ობიექტების რიცხვის ასახვა ზმნა-შემასმენელში) მჭიდროდ არის დაკავშირებული სამეტყველო ფუნქციების სწავლების საკითხებთან. ამიტომაც, ქართული ენის, როგორც არამშობლიური ენის სამეტყველო ფუნქციების (მოსმენა-ლაპარაკის) სწავლება მორფოლოგიური და სინტაქსური პრობლემების წინ წამოწევადაც მოითხოვს.

1. ხშირია -ზე და -ში თანდებულის ერთმანეთის ნაცვლად გამოყენების შემთხვევები. მაგ.: სტადიონის გზაზე - სტადიონის გზაში, ავტობუსის კიბეზე - ავტობუსის კიბეში.
2. ქართული ენის შემსწავლელისათვის პრობლემას წარმოადგენს ერთი და იმავე მიმართულების ზმნისწინების არასწორი შენაცვლება. მაგ.: გადალახოს - დაალახოს, ამოვიდა-გამოვიდა, გავიდა-ჩავიდა...
3. სომხურენოვანი შუალობითი კონტაქტის ფორმებს მეტყველებაში საერთოდ არ იყენებს. მათ ნაცვლად ხშირია უშუალო კონტაქტის ფორმების გამოყენების შემთხვევები.
4. როგორც ცნობილია, სუბიექტის ბრუნებისა და ზმნის უღვლილების ფორმები მეტყველებაში ერთმანეთს უწევენ ანგარიშს.

ასეთივე ურთიერთობა გვაქვს რიცხვშიც: თუ სუბიექტი-ქვემდებარე მრავლობითშია, მასთან შეწყობილი ზმნა-შემასმენელიც მრავლობითში უნდა შეგვხვდეს. სომხურენოვანისათვის სიძნელეს რიცხვსა და ბრუნვაში შეთანხმების საკითხი წარმოადგენს. მაგ.: მასწავლებლები მოვი-და, მეგობრები წავიდა.

5. ჯერჯერობით დაუძლეველ პრობლემას წარმოადგენს რთული წინადადების შედგენა.

ასეთი გრამატიკული პრობლემები, უმჯობესია, ცალკე დამუშავდეს, რათა სტუდენტმა კარგად გააცნობიეროს, რომელი ენობრივი ფორმა (ბრუნვა, რიცხვი, თანდებული, ზმნის დრო, კონტაქტის რომელი ფორმა) უნდა გამოიყენოს კონკრეტულ სიტუაციაში. ასეთ შემთხვევაში გრამატიკულ საკითხებზე კი არ უნდა გავამახვილოთ ყურადღება, არამედ ენობრივ ფორმებზე, როგორც აზრის გამოხატვის საშუალებებზე.

ცალკე დამუშავებას მოითხოვს პრობლემები რთული სიტყვების გამოყენებასთან დაკავშირებით. ამიტომაც ამ პრობ-ლემებზე მუშაობისას კონკრეტული ლექსიკის შედგენილობასადა ხშირ გამოყენებაზე უნდა გავაკეთოთ აქცენტი.

სასწავლო წლის დასასრულისათვის სომხურენოვან სტუ-დენტს უკვე ჰქონდა მოსმენისა და მეტყველების უნარი, ფლობდა გარკვეულ ლექსიკურ მარაგს, შეეძლო მოსმენა როგორც აუდიო-ვიდეო მასალის ნაწყვეტისა, ისე ლაპარაკი და კითხვა. ამავ დროს გამოყენებული იქნა სპეციალურ სავარჯიშოებთან ერთად ქართულ ენაზე არსებული ლიტე-რატურა (მოკლე ტექსტები), ენის მატარებელთან (მეზობ-ლებთან და ქართულენოვან სტუდენტებთან) ურთიერთობა, რადიოს, მაგნიტოფონის მოსმენა, კომპიუტერული პროგრამები, ვებ-გვერდი და ელექტრონული ფოსტა...

ამრიგად, ზეპირმეტყველებაში დაშვებული შეცდომების ანალიზი ენის კომპეტენციების მიხედვით ენობრივი პრობლემებისა და სიძნელეების გამოვლენის საშუალებაა ქართული ენის, როგორც არამშობლიური ენის სამეტყველო ფუნქციების სწავლებისას; მოხდეს იმ საკითხების გამოყოფა, რომლებზედაც ყურადღების მიქცევა შესაძლებელი იქნება ენის ფლობის კონკრეტული დონისათვის, საბაზო და აკადემიური უნარების განვითარებისათვის. ამ მხრივ მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, სპეციალურად დამუშავდეს ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა ენის შემსწავლელის მშობლიურ ენასთან მიმართებით, მეტყველებაში საწარმოთქმო, გრამატიკული და ლექსიკური პრობლემების დასაძლევად პროფესორ-მასწავლებელთა გამოცდილების გაზიარება, ქარ-თულ ენობრივ გარემოსთან ურთიერთობით (სკოლაში და უმაღლეს სასწავლებელში სწავლის პერიოდში) და ქართულ ენობრივ - კულტურული ღირებულებების გაცნობით, დაფა-სებით და

პატივისცემით სახელმწიფო ენის შესწავლის მოტივაციის გაძლიერება.

**დამოწმებული ლიტერატურა:**

**გ.ახვლედიანი, 1999** - გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი, 1999;

**ქ. ლომთათიძე, 1993** - ქ. ლომთათიძე, ქართული ენის ფონოლოგიური მოდელის დარღვევის გამო წარმოთქმაში: ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, თბილისი, 1993.

**Tamar Gogoladze** /Gori State Teaching University/

**Mariam Koberidze** /Gori State Teaching University/

**Problems of Teaching Non-written Functions (listening, speaking) of Georgian as a Non-Native Language**  
Summary

The article aims to identify problems and difficulties accompanying the teaching process of the non-written functions (listening, speaking) of Georgian within the framework of Georgian language training program.

In the regions populated by the ethnic minorities, where the state language is not applied in the everyday life, the language of communication is Russian, while Armenian is a mother tongue. Pupils leave school having no knowledge of Georgian. Students speaking Armenian and being accepted at the universities on the bases of just the results of the test in general skills at the Unified Entry Examination, do not practically know any language apart from their mother tongue. Whereas, academic linguistic competences, which will later help them to think and study various bachelor's courses in Georgian, are unlikely to develop without the basic linguistic skills.

Individual work with one student does not enable a teacher to conduct dialogues and group works. In this case, it is very important to encourage the students to work outside the classroom and to participate in various university activities that gives them opportunity to communicate with the Georgian-speaking students ensuring their social adaptation with a Georgian environment.

Classifying mistakes made in speech is the best way of revealing linguistic problems and difficulties. Here we encounter several problems. It is difficult to master and utilize the phonemic structure of a target language, to adjust a pronunciation apparatus with the peculiarities of a new language. We regard that it is necessary to work on the phonemic structure of a target language in connection with a mother tongue, to distinguish specific sounds and to create sentences and short texts containing these sounds. For example, specific sound for the Georgian language ‘g’, pronunciation of the sound ‘g’ before vowels, etc.

While analyzing problematic issues of grammar, it is noteworthy to identify the mistakes connected to the verb forms, in tense formation, construction of complex sentences, reflecting number of subjects and objects in verbs, etc. Therefore, teaching the communicative functions (listening-speaking) of the Georgian language requires to highlight the morphological and syntactic problems as well.